

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2018 წლის 1 მაისის ბრძანება №99/01-01 საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტზე: ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა, ბიომრავალფეროვნების კათედრა, ბიოქიმიის კათედრა, გენეტიკის კათედრა, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა, მორფოლოგიის კათედრა, უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა, - გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილება №142/2018 მე-4 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №8

ქ. თბილისი

„11“ ივლისი, 2018 წ
10:00

სხდომას კომისიის 6 წევრიდან ესწრებოდა 6 წევრი: 1. თენგიზ ზაალიშვილი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ლეილა წაქაძე - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მემბრანოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. მათა გაიოზიშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი (კომისიის მდივანი); 4. ვერა ფხაკაძე - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდების დაცვის მთავარი კურატორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი; 5. ნატო დარჩია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; 6. მანანა ბერულავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის:

1. მორფოლოგიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
2. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
3. გენეტიკის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;

4. ბიომრავალფეროვნების კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა;
5. ბიოქიმიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
6. იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
7. უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.
8. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის შედგენა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის ინფორმაცია ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის №142/2018 დადგენილების საფუძველზე შექმნილ კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1.

მორფოლოგიის კათედრის კონკურსანტი დიანა ძიძიგური.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის დიანა ძიძიგურის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და მისი **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.**

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის ფაკულტეტის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (5), ასევე აქვს სხვა

მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (15) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (4); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (10), ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (1). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (თანამშრომლობის 2 შემთხვევა). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-85; h-4; g-5. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია კონკურსანტის ხელმძღვანელობით მიმდინარე და დასრულებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კვლევები, აღნიშნული კვლევების შედეგები და საერთაშორისო საზოგადოების გამოხმაურება.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, დ.ძიძიგური არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ასევე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი; აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდა თაობის დაინტერესებაში მეცნიერებით და ორგანიზებას უკეთებს მრავალ სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობენ სტუდენტები და მოსწავლეები; არის ჟურნალ „Advances in Biology & Earth Sciences“ რედკოლეგიის წევრი, ჟურნალ „Translational and Clinical Medicine (Georgian Medical Journal) სამეცნიერო საბჭოს წევრი, ჟურნალ „Georgian medical news“-ის ექსპერტი, აგრარული აკადემიის აკადემიკოსი, ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდულიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის გამგეობის წევრი (2008), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1994წ), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი (2008).

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი დიანა ძიძიგური გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 2.

ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის კონკურსანტი ნაწული დორეული.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნაწილი დორეულის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს მის მიერ დასაკავებელვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის კურიკულუმების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (19), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (35) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (5); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო (12) და ადგილობრივ (10) სამეცნიერო კონფერენციებზე. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (თანამშრომლობის 13 შემთხვევა). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-602; h-12; g-13. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილია სამი ნაშრომი, რომლებიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია კონკურსანტის ხელმძღვანელობით მიმდინარე სამეცნიერო კვლევები, მათი მნიშვნელობა და საერთაშორისო მხარდაჭერა, კათედრაზე არსებული საგრანტო პროექტების თემატიკა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი; ბიოლოგიის დეპარტამენტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი; ფაკულტეტის საბჭოს წევრი; თსუ ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ბრძანებით შექმნილი კომისიების წევრი; საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი; მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება. ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, გერმანული, ინგლისური. კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით,

ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ნაწული დორეული გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი3.

გენეტიკის კათედრის კონკურსანტი თეიმურაზ ლეჟავა

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის თეიმურაზ ლეჟავას **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებისა და მედიცინის კურიკულუმების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (27), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (4); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (7). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (თანამშრომლობის 3 შემთხვევა). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-325; h-9; g-15. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია ზოგადად დარგის წინაში არსებული პრობლემები, კონკურსანტის

ხედვა აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის, კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების მიმართულებები და მომავალი პერსპექტივები.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის თსუ გენეტიკის ინსტიტუტის დამაარსებელი, თსუ ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ბრძანებით შექმნილი კომისიების წევრი, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების ორგანიზატორი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ასევე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალის „Georgian Medical News“-ის და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალების მიწვეული რედაქტორის წევრი; დაჯილდოვებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით; არის საქართველოს ადამიანის გენეტიკის საზოგადოების თავმჯდომარე, საქ. გერონტოლოგთა საზოგადოების სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელი; თსუ ბიოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2012-2018წწ). ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, ინგლისური.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის გენეტიკის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი თეიმურაზ ლეჟავა გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 4.

ბიომრავალფეროვნების კათედრის კონკურსანტი არნოლდ გეგეჭკორი.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის არნოლდ გეგეჭკორის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** კონკურსანტის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან არნოლდ გეგეჭკორის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება,

სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (4), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (46) და მონაწილეობს საგრანტო პროექტში (1); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები როგორც საერთაშორისო (14), ასევე ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (6). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (თანამშრომლობის 5 შემთხვევა). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: h-3; g-3. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია სამეცნიერო კვლევების სფერო და კვლევების განხორციელების გზები. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მიმდინარე კვლევები, მათი აქტუალობა და სიახლე, ასევე სტუდენტების ჩართულობა ამ კვლევებში და კვლევების დაფინანსების გაზრდის აუცილებლობა.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის თსუ-ს წარმომადგენელთა საბჭოს (სენატის) წევრი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა - „ეკოლოგიის“ - ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის „ბიოლოგია“, მოდული - „ბიომრავალფეროვნების“ - ხელმძღვანელი, ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წევრი; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა ხელმძღვანელი.

კონკურსანტის მიერ დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილია მონაცემები მისი სხვადასხვა საერთაშორისო საზოგადოების, აკადემიების, ფედერაციებისა და კავშირების წევრობის შესახებ; კონკურსანტის მიერ მოპოვებული ჯილდოების, სიგელებისა და დიპლომების, ასევე საერთაშორისო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობის შესახებ. წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია სამეცნიერო-პოპულარულ და პუბლიცისტურ საქმიანობაზე.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი არნოლდ გეგეჭკორი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 5.

ბიოქიმიის კათედრის კონკურსანტი ნანა კოშორიძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნანა კოშორიძის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, ნანა კოშორიძემ მიიღო შეფასება - **მაღალი**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (9), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (32) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (4); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო (10) სამეცნიერო კონფერენციებზე. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-99; h-5; g-8. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია კონკურსანტის გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების სფერო, მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევები და მიმდინარე სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტების ჩართულობა.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ასევე დაცული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი; სტუდენტთა, მაგისტრანთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორი, ბიოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტების ხელმძღვანელი საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენციებზე. არის ასევე თსუ ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ბრძანებით შექმნილი კომისიების წევრი, საქართველოს ბიოქიმიური საზოგადოების წევრი, ევროპის ბიოქიმიკოსთა ფედერაციის წევრი, ევროპის ნეირომეცნიერებათა ფედერაციის წევრი. ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, გერმანული, ინგლისური.

კომისიამ კონკურსსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიოქიმიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ნანა კოშორიძე გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 6.

იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის კონკურსანტი ნინო ფორაქიშვილი.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნინო ფორაქიშვილის **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან ნინო ფორაქიშვილმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა და მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (17), ასევე წარმოდგენილი აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (2) და მონაწილეობს საგრანტო პროექტებში (8); ბოლო 6 წლის

განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (7). თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (თანამშრომლობის 9 შემთხვევა - აკადემიური თანამშრომლობა იტალიის, აშშ-ს, ინგლისისა და ესპანეთის სამეცნიერო ცენტრებთან). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-188; h-8; g-5. კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია კონკურსანტის გამოცდილება, სამეცნიერო კვლევების სფერო, მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე მიმდინარე სამეცნიერო კვლევები, მათი აქტუალობა და კვლევების სიახლე, კვლევის შედეგების სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტის მიერ კოორდინირებული და განხორციელებულია ევროგაერთიანების ტემპუს პროექტი JEP-158236: "Development of the e-learning and distance learning courses and assessment in Biomedical sciences in Southern Caucasus" (2010-2013), რომელიც დაჯილდოვდა დიდი ბრიტანეთის განათლების დარგში ყველაზე პრესტიჟული ჯილდოთი Times Higher Education (THE) International Collaboration of the Year (2012); კონკურსანტი ფლობს კომპიუტერულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებს, ელექტრონული სიმულაციების ჩათვლით; იგი არის ელექტრონული სწავლების სპეციალისტი და მიჰყავს დისტანციური სწავლების სამაგისტრო კურსი. ფლობს უცხო ენებს: ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ესპანური. დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, კონკურსანტი არის საერთაშორისო სკოლა „ინოვაციური ტექნოლოგიები კლინიკურ იმუნოლოგიაში: იმუნოდიაგნოსტიკიდან პერსონალიზებულ დამიზნებით იმუნოთერაპიასა და იმუნორეაბილიტაციისაკენ“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივნისი, 2018) - მთავარი მომხსენებელი; საერთაშორისო სკოლა „იმუნოლოგიური კვლევის მეთოდების სკოლა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დეკემბერი, 2016) - თანახელმძღვანელი.

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

კონკურსანტის გასაუბრებას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი: თენგიზ ზაალიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ლეილა წაქაძე (თავმჯდომარის მოადგილე), მათა გაიოზიშვილი (კომისიის მდივანი) და მანანა ბერულავა.

გასაუბრების შედეგებით დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით, შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 4 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-4, წინააღმდეგი-0

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ნინო ფორაქიშვილი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

საკითხი 7.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე განაცხადი გააკეთა ორმა კონკურსანტმა:

1. ნანული კოტრიკაძე
2. ეკატერინე კლდიაშვილი

1.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის კონკურსანტი ნანული კოტრიკაძე.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ნანული კოტრიკაძის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან კონკურსანტის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან ნანული კოტრიკაძემ მიიღო შეფასება - მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს და შედის ბიოლოგიის დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო საგნების ნუსხაში.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორივე პუნქტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას და 2. ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - მაღალი. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები როგორც იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (18), ასევე აქვს სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (28) (2 მონოგრაფია, მათ შორის ერთი უახლესი - 2018 წლის, სტატიები, საკონფერენციო მასალები). იმპაქტ-ფაქტორიანი პუბლიკაციების ჩამონათვალში გარდა Thomson Reuter-ისა მითითებული იყო სხვა კლასიფიკატორებიც. გადამოწმდა იმპაქტ-ფაქტორიანი პუბლიკაციების ჩამონათვალი და Thomson Reuter-ის მიხედვით კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორიანი 14 პუბლიკაცია (5 სტატია და 9 აბსტრაქტი). აპლიკანტი მონაწილეობს საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში (3); აქვს პატენტები (2); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო (6) სამეცნიერო კონფერენციებზე. ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული ანკეტაში. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო

ცენტრებთან (თანამშრომლობის 3 შემთხვევა - ერთობლივი სტატია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომი). კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-137; h-4; g-11 (კონკურსანტის მიერ მოწოდებული ოფიციალური ცნობის საფუძველზე). კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია 2 ნაშრომი, რომლებიც მაღალ სამეცნიერო დონეზეა შესრულებული და შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში ასახულია სამეცნიერო კვლევების სფერო, კათედრაზე მისი ხელმძღვანელობით მიმდინარე სამეცნიერო კვლევების მიმართულებები, აღნიშნული კვლევების მოსალოდნელი შედეგები და კათედრის სამეცნიერო ჯგუფის აქტივობები, ასევე მიმდინარე კვლევებში ახალგაზრდა თაობის ჩართულობა, კათედრის სამეცნიერო ჯგუფის თანამშრომლობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. მოცემულია ინფორმაცია კათედრის სასწავლო-მეთოდური საქმიანობის შესახებ და დასასრულს კონკურსანტი აღნიშნავს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც საჭიროა სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვისათვის.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ასევე დაცული საბაკალავრო (5 ნაშრომი 2014-დან 2018-მდე), სამაგისტრო (4 დაცული ნაშრომი და 2 აქტიური სტატუსის მაგისტრანტი 2012-2018 წწ) და სადოქტორო (2 დაცული სადოქტორო დისერტაცია 2013 და 2017წწ და 1 აქტიური სტატუსის დოქტორანტი) ნაშრომების ხელმძღვანელი; თსუ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი; ჩართულია ახალგაზრდა თაობის დაინტერესებაში თსუ-ში სწავლით, რისთვისაც 2006 წლიდან აქტიურად მონაწილეობს სკოლა-სემინარების ორგანიზებაში. მისი ხელმძღვანელობით, ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა არის „მედიკოსთა ტრადიციული საერთაშორისო სკოლა-კონფერენციების“ თანაორგანიზატორი. ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და ენებს - რუსული, ინგლისური. დამატებით ინფორმაციაში წარმოდგენილია სერთიფიკატები, რომლებიც ადასტურებს მის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე წვლილის შეტანას გამოყენებითი ბიომეცნიერებების სამაგისტრო კურსის დიზაინსა და დანერგვაში. აქვს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება (1996წ) და უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება (1984წ).

კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა მაღალი სამეცნიერო ერუდიცია, სფეროს ღმა და დასაბუთებული ცოდნა, პროფესიონალიზმი, ქცევისა და მეტყველების მაღალი კულტურა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. თენგიზ ზაალიშვილის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის კონკურსანტი ეკატერინე კლდიაშვილი შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის ეკატერინე კლდიაშვილის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს მის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე. ამ კატეგორიის 3 პუნქტის - 1.1- განათლება, 1.2 -აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი და 1.3 - სამსახურებრივი გამოცდილება კონკურსანტმა მიიღო დადებითი შეფასებები. პუნქტში 1.4. - პედაგოგიური სტაჟი, აპლიკანტის მიერ მითითებულია პედაგოგიური სტაჟი 6 წელზე მეტი და წარმოდგენილია სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა, კომისიის მიერ შრომის წიგნაკისა და პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტების განხილვის შემდეგ დაისვა გარკვეული კითხვები და გამოითქვა მოსაზრებები მისი პედაგოგიური სტაჟის ვაკანსიის პროფილთან სრულ შესაბამისობასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარებ I კატეგორიის საერთო შეფასება დააყენა ღია კენჭისყრაზე, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება I კატეგორიის დადებითად შეფასების თაობაზე.

II კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **საშუალო**. აღნიშნული კატეგორიის 2.1 პუნქტი - პედაგოგიური გამოცდილება, ანკეტის მიხედვით შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, თუმცა აღნიშნული ფოქსირდება მხოლოდ 2014 წლიდან. კომისიამ იმსჯელა ასევე 2.2. პუნქტში (სასწავლო მეთოდური საქმიანობა) წარმოდგენილ ჩამონათვალზე და აღნიშნული ჩამონათვალიდან ვაკანსიის პროფილს შეესაბამება მხოლოდ რამოდენიმე. 2.4 პუნქტში მითითებულია 16 სასწავლო კურსის დასახელება (8 ბაკალავრიატი და 8 მაგისტრატურა), რომლებიც შესაბამისობაშია თსუ-ში მოქმედ სასწავლო პროგრამების კურსებთან. 2.5 პუნქტში წარმოდგენილია 3 სილაბუსი, რომელთა ფორმა ნაწილობრივ შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს (არ არის მითითებული სასწავლო კურსის სტატუსი, არ არის გაწერილი შედეგები თსუ-ში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად) 3-დან მხოლოდ 2 საგნის დასახელება შეესაბამება თსუ-ში მოქმედი სასწავლო პროგრამის კურსებს, მაგრამ სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა არ ემთხვევა.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის I პუნქტში - ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას - კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **საშუალო**, ხოლო მეორე პუნქტში - ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას - კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **მაღალი**, ვინაიდან კონკურსანტის ანკეტის მიხედვით, მას გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (22) და სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 7. აღნიშნული მონაცემები გადამოწმდა კომისიის მიერ, ვინაიდან კონკურსანტს არ ჰქონდა მითითებული რომელი კლასიფიკატორით იყო წარმოდგენილი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიები და არ იყო მითითებული ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი. მოძიებული ინფორმაციით, Web of Science-ში ინდექსირებულია 15 სტატია, რომელთაგან Thomson Reuter-ის მიხედვით იმპაქტ-ფაქტორიანია 5 სტატია და 1 აბსტრაქტი. კონკურსანტი მონაწილეობს საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში (8); პატენტების შესახებ

არ არის ინფორმაცია მოწოდებული, ასევე არ არის ინფორმაცია უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის შესახებ. ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო (4) სამეცნიერო კონფერენციებზე. კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლებია: c-51; h-5, g- (ანკეტის მიხედვით). ვინაიდან, თანდართულ დოკუმენტებში არ იყო აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი, ინფორმაცია გადამოწმდა კომისიის მიერ. Web of Science-ის მიხედვით: c-18; h-2, g- . კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი არის სამ გვერდიანი, მიმოხილვითი სტატია (რევიუ) და არ წარმოადგენს კონკურსანტის მიერ შესრულებულ კვლევაზე დაფუძნებულ სამეცნიერო ნაშრომს. პრეტენდენტის სამეცნიერო კონცეფციას არ აქვს მყარი საფუძველი (წარმოდგენილი აქვს ჰიპოთეზის სახით) და მეცნიერული დასაბუთება. მოყვანილია ექსპერიმენტალური დეტალები (მეთოდები), რომელიც, როგორც წესი, არ იწერება კონცეფციაში.

IV კატეგორიის ორივე პუნქტის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **საშუალო**. ბოლო 6 წლის სხვა სახის აქტივობების მიხედვით, კონკურსანტი არის მედიცინის სადოქტორო პროგრამის (ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი) თანახელმძღვანელი, ამავე სადოქტორო პროგრამის ორი დოქტორანტის ხელმძღვანელი, ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს და უცხო ენებს - ინგლისური, რუსული. კომისიამ კონკურსანტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე.

გასაუბრებისას კომისიამ დააზუსტა გარკვეული საკითხები, რომელთა შესახებაც გაუჩნდა კითხვები კონკურსანტის ანკეტის განხილვისას (იხ. ოქმი 5). გასაუბრებისას კონკურსანტმა გამოავლინა ქვევისა და მეტყველების მაღალი კულტურა, ისაუბრა მისი სამეცნიერო გამოცდილების, ცოდნისა და ინტერესების ინტერდისციპლინურობის შესახებ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-0, წინააღმდეგი-6

კომისიამ დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბიოლოგიის დეპარტამენტის უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამოვლინდეს გამარჯვებულად კონკურსანტი ნაწილი კოტრიკამე.

საკითხი 8.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩაატრების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფესორი თენგიზ ზაალიშვილი *თ. ზაალიშვილი*

თავმჯდომარის მოადგილე:

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლეილა წაქაძე *ლ. წაქაძე*

კომისიის მდივანი:

ასისტენტ-პროფესორი მანა გაიოზიშვილი *მ. გაიოზიშვილი*

კომისიის წევრები:

ბიოლოგიის დოქტორი ვერა ფხაკაძე *ვ. ფხაკაძე*

ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნატო დარჩია *ნ. დარჩია*

ასოცირებული პროფესორი მანანა ბერულავა *მ. ბერულავა*